დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს

2013 წლის 28 ივნისის

№ 944 დადგენილებით

# სტუ-ს მედიატექნოლოგიების ლაბორატორიის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## I. ზოგადი დებულებანი:

1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მედიატექნოლოგიების ლაბორატორია (შემდგომში ლაბორატორია) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2 ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,უმაღლესი განათლების შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით, რექტორის ბრძანებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით;

1.3 ლაბორატორიის მისამართია: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77ა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI სასწავლო კორპუსი;

1.4 ლაბორატორია საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილების მიღებისა და უნივერსიტეტის რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან;

1.5 ლაბორატორია საქმიანობას ახორციელებს დებულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ სათანადო კანონმდებლობის დაცვით.

## II. ლაბორატორიის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

2.1 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საფაკულტეტო სწავლების ხარისხის ხელშეწყობა;

2.2 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ნებისმიერ სფეროში მომხდარი ან მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეებისა და მოვლენების დოკუმენტური (ფოტო, ვიდეო, აუდიო) ასახვა და შესაძლებლობების ფარგლებში საუნივერსიტეტო და სხვა მედიით გაშუქება;

2.3 სასწავლო საგნების ლექციათა ციკლის სტუ-ს ინტერნეტ ტელე-რადიო მედიის საშუალებით პირდაპირ რეჟიმში სწავლების ორგანიზება და ასევე, ამ მიმართულებით ქვეყნის სამაუწყებლო კომპანიებთან თანამშრომლობის განხორციელება;

2.4 სტუ-ს საინჟინრო-ტექნიკური სფეროს პროფესიათა პოპულარიზაცია;

2.5 მსოფლიოს მასშტაბით განათლების სფეროში მოწინავე ინტერნეტ-მედია და ინოვაციური ტექნოლოგიების მიმდინარე გაცნობა-შესწავლა, შეძლებისდაგვარად, დანერგვა/ინტეგრაცია.

2.6 საფაკულტეტო სასწავლო-პრაქტიკული ბეჭდური და ონლაინ მედიის ორგანიზება და მათში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;

2.7 სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიულ-პრაქტიკული დისციპლინების სწავლების ხელშეწყობა მედიატექნოლოგიების გამოყენებით;

2.8 სწავლების სრულყოფისა და პრაქტიკული საქმიანობის წარმოჩენისათვის სტუდენტთა ფოტო-ვიდეო ნამუშევრების ფესტივალების, გამოფენების, კონკურსების მოწყობა;

2.9 მეთოდური საქმიანობის წარმართვა – ფოტო-ვიდეო-აუდიო სწავლების პრაქტიკული განხორციელებისათვის ქართულ ენაზე წიგნების, სამახსოვროების, ბროშურების გამოშვება;

2.10 საფაკულტეტო მასშტაბით პროფესიული მასტერ-კლასების, ტრენინგების, სემინარების ჩატარება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად;

2.11 ლაბორატორიის ბაზის გამოყენება პროფესიული სასწავლო-პრაქტიკული მოკლევადიანი კურსების, ტრენინგების და პროფესიული განათლების სასერთიფიკატო პროგრამების მომზადება;

2.12 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში არსებული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორული პროგრამების განხორციელება;

2.13 ლაბორატორიის ბაზაზე სტუ-ს ინტერნეტ-ტელევიზიის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ორიგინალური და დაიჯესტური ტიპის მედიაკონტენტის მომზადებით;

2.14 ლაბორატორიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზაფხულო სკოლების პროგრამების შექმნა, დამუშავება და განხორციელება.

2.15 სტუ-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთობლივი პარტნიორული პროექტების უზრუნველყოფა;

2.16 ლაბორატორიის ბაზაზე სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალის გამოცემა;

2,17 სტუ-ს ისტორიის და წიგნი-მატიანის შექმნისა და გამოცემის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად;

2.18 ლაბორატორიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სტუდენტური იდეებისა და ნოვაციების ინფორმაციული ხელშეწყობა და ორგანიზება;

## III. ლაბორატორიის სტრუქტურა:

3.1 ლაბორატორია თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესდებისა და შინაგანაწესის მიხედვით.

3.2 ლაბორატორიის საშტატო ერთეულებია:

- ლაბორატორიის ხელმძღვანელი;
- ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი;
- სპეციალისტი;
- ლაბორანტი.

### 3.3 უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება:

3.3.1 **ლაბორატორიის უფროსი**

ახორციელებს ყოველდღიური მუშაობის კონტროლს თანამშრომლების მეშვეობით და მუშაობის განვითარების მიზნით ახდენს ფაქტებზე რეაგირებას. ხელმძღვანელობს თანამშრომლების გამართულ მუშაობას, შეთანხმების შედეგად ახორციელებს უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის ინტერესების დაცვით სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობას, ხელს აწერს სერტიფიკატს, აწარმოებს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა სამუშაოებს. ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ.

3.3.2 **ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი**

ახორციელებს დაკომპლექტებული და პროცესში ჩაშვებული სამუშაოების კონტროლს თანამშრომლების მეშვეობით და მუშაობის განვითარების მიზნით ახდენს ფაქტებზე რეაგირებას. შეთანხმების შედეგად მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის ინტერესების დაცვით, სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის დაგეგმა-განხორციელებაში.

3.3.3 **ლაბორატორიის სპეციალისტი და ლაბორანტი**

ახორციელებენ გეგმით განსაზღვრულ სამუშაოებს და ყოველი კალენდარული თვის შემდეგ აბარებენ ლაბორატორიის უფროსს ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს;

## IV. დამატებითი დებულებები

4.1 ლაბორატორიის ყველა მუშაკი ვალდებულია დაემორჩილოს უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დაიცვას უნივერსიტეტში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები.

4.2 საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე დებულებით (ქონება, ფინანსები, ინტერნეტ-სწავლება, პროგრამების შემუშავების პროცედურები და სხვა) რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

## V. ლაბორატორიის რეორგანიზაცია

ლაბორატორიის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.